მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება №

ქ. ქუთაისი № 704 31.12.2018 წ. --- ---------- 2018 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - სსიპ ქალაქ სამტრედიის სოფელ ნაბაკევის საჯარო სკოლა (შემდგომში - ~შემსყიდველი~) **დირექტორის ეკატერინე ჯამბურიას** სახით და მეორე მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი_დაცვის პოლიციის დეპარტამენტის, იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო(შემდგომში - მიმწოდებელი) **უფროსის მიხეილ სანიკიძის** სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, ,,გამარტივებული შესყიდვით" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა (CPV:79710000), კერძოდ სსიპ ქალაქ სამტრედიის სოფელ ნაბაკევის საჯარო სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის ოთხის დაცვა, (შემდგომში-ობიექტები) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ;

1.2 ობიექტის დაცვა (დაცვითი პერიმეტრული სიგნალიზაციის) მეშვეობით ხორციელდება შემსყიდველის მიერ ობიექტის დამონტაჟებული სატელეფონო დამრეკით სამტრედია-ვანის დაცვის პოლიციის ქვეგანყოფილების სამორიგეო 577 025 037 და იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს ცენტრალიზებული პულტის 595 854 011 ტელეფონებზე მიღებულ განგაშზე სათანადო რეაგირების გზით.

1.3 ობიექტის დაცვას სატელეფონო დამრეკის საშუალებით განახრციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს სამტრედია-ვანის დაცვის პოლიციის ქვეგანყოფილება.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1 მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 600 (ექვსასი) ლარს დ.ღ.გ-ს ჩათვლით და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს

2.2 დაცვის მომსახურეობის ღირებულება ერთ თვეში შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს დ.ღ.გ-ს ჩათვლით და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.4 დაცვის მომსახურეობის საგადასახადო დოკუმენტაციის შედგენას უზრუნველყოფს შსს-ს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილია ~შემსყიდველის~ ადგილსამყოფელი - სამტრედიის რაიონი, სოფელი ნაბაკევი.

4.2. დაცვის მომსახურების მიწოდება ხორციელდება 2019 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.3.1 ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

5.3.2 ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

5.3.3 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მის საკუთრებაში არსებული აპარატურის (მოწყობილობის) (იხ.დანართი N1) მონტაჟი-ინსტალაცია შემსყიდველის ობიექტზე;

5.5.4 სატელეფონო დამრეკით სამტრედია-ვანის დ/პ განყოფილების სამორიგეოში განგაშის მიღებიდან არაუგვიანეს 8 (რვა) წუთისა მოახდინოს ობიექტზე გამოცხადება და ადგილზე მისვლის შემდეგ, უზრუნველყოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთა;

5.5.5 ობიექტზე მომხდარი სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს და უზრუნველყოს შსს-ს შესაბამისი ორგანოების გამოძახება, ხოლო მათ მოსვლამდე დაიცვას შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა;

5.5.6 შემსყიდველს აუნაზღაუროს ფაქტიური ზარალი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;

5.5.7 სიგნალ-განგაშის მიღებას ობიექტის გასასხნელად, სიგნალის ამუშავების მიზეზის დასადგენად, აგრეთვე ობიექტის ხელმეორედ დავაზე ასაყვანად, გამოიძახოს შემსყიდველი ან ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი;

5.5.8 არ მიიღოს ობიექტი დაცვაში, თუ არ შესრულდა მოკვლევის აქტით განსაზღვრული მოთხოვნები ან შეიქმნა ისეთი პირობები, რომლის გამოც დაცვისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით არ ხერხდება დაცვაზე აყვანა, რაზედაც შემსყიდველს ეცნობება წინასწარ;

5.5.9 იკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ ზარალისთვის, რომელიც გამოიწვია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანმა შესრულებამ და არა შემსყიდველის დაუდევრობამ.

5.4 შემსყიდველი ვალდებულია:

5.4.1 ობიექტის დაცვაზე მიღება-ჩაბარებისათვის ოფიციალურად გამოყოს პასუხისმგებელი პირი (სანდო პირი) და გადასცეს მას სიგნალიზაციით სარგებლობის ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების უფლება;

5.4.2. განგაშის შემთხვევაში მიმწოდებელს მისცეს დასაცავი ობიექტის გახსნისა და დათვალიერების საშუალება;

5.4.3. უცხო პირებს არ გაანდოს დაცვის ტექნიკური საშუალების გამოყენების წესები.

5.4.4. სიგნალიზაციის გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მიმწოდებელს და დაელოდოს მისი წარმომადგენლის გამოცხადებასა და ნაკლოვანებების აღმოფხვრას;

5.4.5. ელექტროენერგიის ავარიული გამორთვის შემთხვევაში გამართულ მდგომარეობაში იქონიოს დასამუხტი და სარეზერვო მკვებავი საშუალებები;

5.4.6. წინამდებარე ხელშეკრულების 5.3.3 ქვეპუნქტში მითითებული მოწყობილობების (რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკუთრებას და მიმწოდებლის მიერ საკუთარი ხარჯებით არის დამონტაჟებული შემსყიდველის ობიექტზე) განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევაში 5 სამუშაო დღის ვადაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი დანართი N1-ში მითითებული ღირებულების შესაბამისად;

5.4.7. უზრუნველყოს მოკვლევის აქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

5.4.8. არ დაუშვას მიმწოდებლის მიერ დამოტაჟებული აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება დაცვის

პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის თვითნებური მოქმედებით გამოწვეულ გაუმართაობასა (შეფერხებაზე) და მიყენებულ ზიანზე.

5.4.9. რეკვიზიტების (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები) შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს

5.4.10. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის „ბ" პუნქტით განსაზღვრული მოწყობილობების შემოწმებისა და დემონტაჟის მიზნით, ვალდებულია უზრუნველყოს დაცვის პოლიციის წარმომადგენლის დაშვება ობიექტზე.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ქალაქ სამტრედიის სოფელ ნაბაკევის საჯარო სკოლის დირექტორი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, მხარეები უფლებამოსილი არიან შეწყვიტონ ხელშეკრულება და მოსთხოვონ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.3 შემსყიდველის ბრალეული (გაზრახი ან გაუფრთხილებელი) ქმედებით გამოწვეულ ცრუ განგაშზე დასაცავ ობიექტზე დაცვის პოლიციის გამოცხადების პირველი შემთხვევის დროს , შემსყიდველს ეძლევა წერილობითი განცხადება განმეორებითი ცრუ განგაშის შემთხვევაში პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. ყოველი მომდევნო ცრუ განგაშის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ

უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დანართი N1, მხარეთა მიერ შედგენილი დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი და მხარეთა შორის გაფორმებული ობიექტის მოკვლევის აქტი;

12.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება დაცვის მომსახურეობის ტარიფის გაზრდის ან შემცირების შესახებ, რომელიც ორი კვირით ადრე წერილობით უნდა ეცნობოს შემსყიდველს, თუკი შემსყიდველი შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლამდე არ შეატყობინებს მიმწოდებელს, რომ იგი არ ეთანხმება პირობას, ითვლება, რომ მხარე იღებს ახალ პირობას;

12.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რის შესახებ ვალდებულნი არიან ათი დღით ადრე წერილობით აცნობონ ერთმანეთს;

12.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია ხელშეკრულების შეწყვეტიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის, მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის „ბ" პუნქტით განსაზღვრული მოწყობილობების შემოწმება და დემონტაჟი;

12.5 . ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ~შემსყიდველთან~, ხოლო ორი ~მიმწოდებელთან.~

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ - ქალაქ სამტრედიის სოფელ ნაბაკევის საჯარო სკოლა	შსს სსიპ დაცვის-პოლიციის დეპარტამენტის იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო
ს/კ: № 238762889	ს/კ: 211350928
მის.: სამტრედიის რაიონი სოფელი ნაბაკევი	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №9;
ტელ: 577 652-658	მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკისკოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი _707117042
დირექტორი	**სამმართველოს უფროსი**
ეკატერინე ჯამბურია	**მიხეილ სანიკიძე**
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

ხარჯთაღრიცხვა № 704

დროებით სარგებლობაში მოცემული მასალების რაოდენობა და ფასი დანართი №1

ხარჯთაღრიცხვის №	704	მასალის ღირ.	488.46
ხელშეკრულების თარიღი	31.12.18.	მონტაჟი	0.00
ხელშეკრულების სტარტ თარიღი	31.12.18.		
ხელშეკრულების ვადა		დღგ	87.92
ხელშეკრულების პროლონგაცია		მასალების ღირებულება	576.38
დამკვეთის საინდენტიფიკაციო (პირადი) №	ს/კ: №	238762889	
დამკვეთის დასახელება	სსიპ ქ. სამტრედიის სოფელ ნაბაკევის საჯარო სკოლა		
დამკვეთის მისამართი	სამტრედის რაიონი, სოფელი ნაბაკევი		
ხელმძღვანელი	დირექტორი ეკატერინე ჯამბურია		
დამკვეთის ანგარიშის №			
დამკვეთის ბანკის კოდის №			

№	საქონლის კოდი	შტრიხ კოდი	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი		სულ თანხა	
						დღგ გარეშე	დღგ ჩათვლით	დღგ გარეშე	დღგ ჩათვლით
1	2		3	4	5	6	7	8	9
1	8516	90046995	GSM ავტოდამრეკი	ცალი	1	149.67	176.6106	149.67	176.611
2	723	90001769	საკონტროლო პანელი	ცალი	1	206.00	243.0800	206.00	243.080
3	06/438/14		ტრანსფორმატორი	ცალი	1	23.71	27.9739	23.71	27.974
4	4284		მინის მსხვრევის დეტექტორი	ცალი	1	32.82	38.7276	32.82	38.728
5	4237	90001683	მოძრაობის დეტექტორი	ცალი	1	25.42	29.9956	25.42	29.996
6	4237	90001684	მოძრაობის დეტექტორი	ცალი	1	25.42	29.9956	25.42	29.996
7	4237		მოძრაობის დეტექტორი	ცალი	1	25.42	29.9956	25.42	29.996
			ჯამი :		7	488.46	576.3789	488.46	576.3789

"შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი"

სსიპ ქ. სამტრედიის სოფელ ნაბაკევის საჯარო სკოლა

სამტრედის რაიონი, სოფელი ნაბაკევი

ს/კ: №238762889

დირექტორი: /ეკატერინე ჯამბურია/

"მ ი მ ღ ებ ე ლ ი"

იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო

ქ.ქუთაისი - ნიკეას №9

ს.კ.: № 211350928

უფროსი: /მიხეილ სანიკიძე/